

**ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურის**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) სამართლებრივ სტატუსს, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. სამსახური ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე და ასრულებს რექტორის მითითებებსა და დავალებებს.

**მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები**

სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის საქმიანობის წარმართვა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვა;

ბ) ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება;

გ) უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ახალი ტექნოლოგიებისა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა;

დ) უნივერსიტეტის კომპიუტერული და ქსელური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ე) უნივერსიტეტში დაგეგმილი ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა;

ვ) სტუდენტების შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული ბაზის გამართულად ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა;

ზ) უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის კონსულტაციის განწვევა ტექნოლოგიების ათვისებისა და გამოყენების პროცესში;

თ) უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამართვა და უხარვეზოდ ფუნქციონირებისთვის ხელშეწყობა;

ი) საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვა შესაბამისი სახარჯი მასალებით, მათი მდგომარეობის მუდმივი კონტროლი და დაზიანებული ტექნიკის შესაკეთებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

კ) უნივერსიტეტის სერვერული ერთეულების მონიტორინგი და კონტროლი;

ლ) უნივერსიტეტის დომენური სახელების მონიტორინგი და კონტროლი;

- მ) უნივერსიტეტის ვებგვერდის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- ნ) უნივერსიტეტის ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ო) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობა;
- პ) უნივერსიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძენად აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის შეგროვება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის წარდგენა;
- ჟ) უნივერსიტეტში ელექტრონული მართვის სისტემის შექმნა და ოპტიმიზაცია; ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმების შემუშავება;
- რ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება/განვითარება/განხორციელებაში მონაწილეობა;
- ს) ასრულებს ხელმძღვანელობის სხვა მითითებებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით, მაგრამ უკავშირდება სასწავლო პროცესის გამართულ ფუნქციონირებას და უნივერსიტეტის ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

### **მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა**

1. სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. სამსახურის უფროსს დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ბეჭირი შეთანხმების საფუძველზე ნიშნავს/ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი.
2. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით სამსახურისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

### **მუხლი 4. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.
2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.